



MES 5 22 0000898669



12/08/2022

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი

ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2022 წლის 29 ივლისს**.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

Join Zoom Meeting

<https://us02web.zoom.us/j/2234959888>

Meeting ID: 223 495 9888

Passcode: 2022

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს(შემდგომში-საბჭო) წევრები:

ნანა ყუფუნია - შპს „თბილცემენტ გრუპის“ ადამიანური რესურსების მართვისა და ორგანიზაციული განვითარების პროექტის ხელმძღვანელი/საბჭოს თავმჯდომარე;

მარიამ ჩაგელიშვილი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GiZ) პროგრამის „კერძო სექტორის განვითარება და პროფესიული განათლება სამხრეთ კავკასიაში“, ექსპერტი/საბჭოს წევრი;

მარიამ ქუჩულორია - ა(ა)იპ - ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე/საბჭოს წევრი;

რუსუდან გიგაშვილი - ა(ა) იპ - აგრო დუოს თავმჯდომარე/საბჭოს წევრი;

ქრისტინა რზგოევა - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი/საბჭოს მდივანი;

ნატალია კვაჭანტირაძე - საქართველოს ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე/საბჭოს წევრი;

ნინო კაკულია - სსიპ აწარმოე საქართველოში ინვესტორებთან ურთიერთობის მენეჯერი/საბჭოს წევრი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

ნია გუგუნავა - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი:

დავით მახვილაძე- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

თამარ აფციაური- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პროფესიული განათლების პროგრამების განყოფილების უფროსი;

ედიშერ კვესიტაძე-პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ცენტრის უფროსი;

ეკა ნარეშელაშვილი- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ცენტრის უფროსის მოადგილე;

გურამ მჭედლიშვილი- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ცენტრის მენეჯერი;

რევაზ ქელდიშვილი- დაცვისა და უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსი;

გიორგი ცხოვრებაშვილი- შრომის უსაფრთხოების განყოფილების უფროსი;

ოთარ გელაშვილი- სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი;

ნათია ბუთხუზი-სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

ხათუნი ამყოლაძე-„მექატრონიკის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;

ნანა ბაქრაძე- „მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;

თამარ ლომინაძე- ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანი;

თინათინ კაიშაური- ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

ლაშა იაშვილი- „სამრეწველო ავტომატიზაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;

ქეთევან კოტრიკაძე- პროფესორი,მართვის სისტემების და ავტომატიზაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

ლენა შატაკიშვილი- ენერგეტიკის ფაკულტეტის დეკანი;

ნატალია კერესელიძე- „მაღალი ძაბვის ელექტროტექნიკოსის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

მანანა მახარაშვილი

დავით გუდაძე

ფრიდონ გოგიაშვილი

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 14:00 საათი.

ქალბატონი ნანა ყუფუნია მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულებების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიოჩაწერა და აუდიოჩაწერა განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

რადგან საბჭოს მდივანი მაგდა ბოლოთაშვილი არ ესწრებოდა საბჭოს სხდომას, საბჭოს მდივნად განისაზღვრა ქრისტინა რზგოვეა.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო **დღის წესრიგი**:

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის „მაღალი ძაბვის ელექტროტექნიკოსის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილებების შესახებ საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის „მექატრონიკის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილებების შესახებ საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის „სამრეწველო ავტომატიზაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილებების შესახებ საკითხის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის „მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა.

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის „მაღალი ძაბვის ელექტროტექნიკოსის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილებების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ დასვა კითხვა, ჰქონდათ თუ არა დაწესებულების წარმომადგენლებს უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ დასწრებოდნენ საბჭოს, რაზეც პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა

ნანი დალაქიშვილმა უპასუხა, რომ დაწესებულებიდან, რექტორის მხრიდან ყველას ჰქონდა მინდობილობა. შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ, ნანა ყუფუნიმ მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, მანანა მახარაშვილს, რომ წარედგინა საკითხი.

ექსპერტი მანანა მახარაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ოთხივე წარმოება პარალელურად წარიმართა, ოთხივე წარმოების ფარგლებში შეფასდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ე) ქვეპუნქტით დადგენილი სტანდარტების "ე.ა" და " ე.ბ" კომპონენტებთან დაწესებულების შესაბამისობა, დამატებით, თითოეული პროგრამისთვის ბ) ქვეპუნქტით დადგენილი სტანდარტების "ბ.ბ" და "ბ.დ" კომპონენტების შესაბამისობა. მანანა მახარაშვილმა აღნიშნა, რომ ოთხივე წარმოების/პროგრამების განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების ვიზიტის ფარგლებში წარმოადგენენ 5.1. და 5.2. კომპონენტების გაერთიანებულ შეფასებას, შემდეგ კი თითოეული პროგრამისთვის - პროგრამის კომპონენტების შეფასებას. თავდაპირველად, 5.1. კომპონენტი და ყველა პროგრამის 2.2. კომპონენტი შეფასდა, როგორც შეუსაბამოა, რადგან მითითებულ ლოკაციაზე პროფესიული სტუდენტებისთვის განკუთვნილი სკამების რაოდენობა არ შეესაბამებოდა დადგენილ კვოტას. ექსპერტის თქმით, დაწესებულებამ განმარტა, რომ მიმდინარეობდა კონსოლიდირებული შესყიდვა, თუმცა, შექმნილი გლობალური პრობლემების გამო შეფერხდა შესყიდვის პროცესი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ მიმართა შესყიდვების სააგენტოს, მათ გასცეს ნებართვა, რომ სკამები გამარტივებული წესით შეესყიდათ, დაწესებულებამ წარმოადგინა შესყიდვის ხელშეკრულება კომპანია „ნოვესთაილთან“, რომელმაც ხელშეკრულების ფარგლებში აიღო ვალდებულება, რომ პირველ სექტემბრამდე მოაწვდიდა დაწესებულებას 300 ერთეულ სკამს. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის თქმით, სწორედ ამ გარემოებიდან გამომდინარე, მეორე სტანდარტი შეფასდა, როგორც შეუსაბამო, ხოლო 5.1. კომპონენტთან შესაბამისობა არ დადასტურდა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმასთან დაკავშირებით, რადგან გეგმა არ შეესაბამებოდა დადგენილ სტრუქტურას და ასევე, არ იყო შეთანხმებული კომპეტენტურ ორგანოსთან. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ არგუმენტირებულ წერილთან ერთად გადმოაგზავნა შესყიდვის დოკუმენტები, მიღება-ჩაბარების აქტი, შესაბამისად, შემდეგ მიღება-ჩაბარების აქტით გაფორმებულია უნივერსიტეტის პროფესიული განათლების დეპარტამენტთან, თუმცა ექსპერტის მხრიდან აღინიშნა, რომ ამ დოკუმენტით არ ხდება იდენტიფიცირება იმისა, თუ კონკრეტულად რომელი პროგრამის ფარგლებში, რომელ ლოკაციაზე იქნა გადაცემული აღნიშნული სკამები, შესაბამისად, მხოლოდ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად მოხდა შეუსაბამოების კვალიფიცირება მეტწილ შესაბამისობად. ექსპერტმა მანანა მახარაშვილმა აღნიშნა, რომ დასკვნაში მისი მხრიდან ტექნიკური ხარვეზი ფიქსირდება 5.1. კომპონენტთან მიმართებით.

ექსპერტმა მანანა მახარაშვილმა აღნიშნა, რომ აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, მათ გასცეს შესაბამისობის რეკომენდაციები, თუმცა დაამატა, რომ შემდეგში დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად გადმოაგზავნა შესაბამისობის გეგმა. დაწესებულებას შესაბამისობის გეგმაში აქვს ასახული შეფასება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურიდან.

მე-5 სტანდარტი ეხება მატერიალურ, საინფორმაციო და ფინანსურ რესურსებს;

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა;

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

ექსპერტების მხრიდან აღინიშნა, რომ დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის. ვიზიტის დროს ექსპერტებს

არ ჰქონიათ შესაძლებლობა სტუდენტებთან გასაუბრებისა, რათა დამატებით მიეღოთ დაწესებულების ინფრასტრუქტურითა და რესურსებით სარგებლობის შესახებ ინფორმაცია. მათ აღნიშნეს, რომ დაწესებულების მიერ აღნიშნულ ინდიკატორთან წარმოდგენილი დოკუმენტები არ მოიცავს აღწერას ინფრასტრუქტურით/რესურსებით სარგებლობის პირობებისა და სხვა ადმინისტრაციული პროცედურების შესახებ ინფორმაციას, ამდენად ექსპერტების მხრიდან გაიცა **რეკომენდაცია**: სასურველია, შემუშავდეს პროცედურა, რომლითაც განისაზღვრება დაწესებულების ინფრასტრუქტურის, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეების და მატერიალური რესურსის გამოყენების პირობები. ასევე IT ინფრასტრუქტურის გამოყენების მიზნობრიობა, კონკრეტული პირობები და შეზღუდვები.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ მანანა მახარაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, რაც ასევე დასტურდება ფაქტობრივი მდგომარეობით. ასევე, აღინიშნა, რომ დაწესებულების მფლობელობაში არსებულ შენობა-ნაგებობაში არის ცენტრალური ელექტრო გათბობის სისტემა, რომელიც დაპროექტებული და დამონტაჟებულია ათასწლეულის გამოწვევის ფონდის მიერ განხორციელებული პროექტის ფარგლებში.

კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კანცლერის ბრძანებით, დამტკიცებულია დოკუმენტები: „შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკა“ და „შრომის უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციების მოქმედების გეგმა“. ექსპერტმა აღნიშნა, რომ შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის პირადი საქმე/კომპეტენციის დამდასტურებელი დოკუმენტი არ ყოფილა წარმოდგენილი, შესაბამისად, ექსპერტთა მიერ ვერ მოხდა აღნიშნულ პოზიციაზე დასაქმებული პირის კომპეტენციის საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება. არ ყოფილა, ასევე, წარმოდგენილი პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების ინსტრუქტაჟის დამდასტურებელი დოკუმენტაცია და სასწავლო-სამუშაო გარემოში რისკების მართვის ღონისძიებების გეგმა. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, პირველადი შეფასებით, დაწესებულებაში კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები არაა დამაკმაყოფილებლად შეფასდა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულია შრომის უსაფრთხოების მექანიზმები. ამასთან დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი იქნა უკვე შესრულებული აქტივობების დამდასტურებელი დოკუმენტაცია: აღნიშნულ მისამართზე არსებული ობიექტისა და საგანმანათლებლო პროგრამებისთვის რისკების შეფასებისა და მათი აღმოფხვრის ღონისძიებების გეგმა; პერსონალისა და სტუდენტების ინსტრუქტაჟის ჩატარების მასალები და შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის კომპეტენციის დამდასტურებელი დოკუმენტები. წარმოდგენილი დოკუმენტების გათვალისწინებით, ინდიკატორი შეფასდა როგორც - **შესაბამისი**.

რაც შეეხება საბიბლიოთეკო სივრცეს, ექსპერტის განმარტებით, მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. დაწესებულების მიერ ახალ სასწავლო ფართში (სასწავლო ცენტრში) მოწყობილია ბიბლიოთეკა, რომელიც სტუ-ს „ბიბლიოთეკის დებულებისა“ და სხვა შიდა რეგულაციების თანახმად, წარმოადგენს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკის ფილიალს. ბიბლიოთეკის რეგულაციების თანახმად, სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებლებს, მათთან გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედების ვადით, შეუზღუდავად ეძლევათ უფლება, ისარგებლონ საბიბლიოთეკო მომსახურებით და წიგნადი ფონდით, მათ შორის, ნიკო მუსხელიშვილის სახლობის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკით.

5.1.2. კომპონენტის თანახმად, პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში უსაფრთხოების ზომების დაცვის მიზნით, დაწესებულებაში შექმნილია სტრუქტურული ერთეული - ინფრასტრუქტურის მართვის, შრომის უსაფრთხოების და ლოგისტიკის

დეპარტამენტი, რომლის ერთეულებია: ინფრასტრუქტურის მართვის, შრომის უსაფრთხოებისა და ლოგისტიკის განყოფილებები. შემუშავებულია დეპარტამენტის დებულება. ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით და მოქმედ საკანონმდებლო მოთხოვნებთან შეუსაბამოების აღმოფხვრის ან ვიზიტის პერიოდისთვის კონკრეტულ ინდიკატორთან შესაბამისობის გეგმების არარსებობის გამო, პირვანდელი შეფასებით, ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეუსაბამო“. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმისა და აღნიშნულ ინდიკატორთან დაკავშირებული დაგეგმილი ღონისძიებებისა და შესრულების ვადების (3 თვე) გათვალისწინებით, შეფასება კვალიფიცირდა როგორც, „მეტწილი შესაბამისობა“.

ამ მხრივ გაიცა შესაბამისობის რეკომენდაცია: შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში, უზრუნველყოფილი იქნეს უსაფრთხოების ზომების დაცვა.

ექსპერტმა მანანა მახარაშვილმა აღნიშნა, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმების მოქმედების მტკიცებულებად დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა „შრომის უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციების მოქმედების გეგმა“.

წარმოდგენილი დოკუმენტი არ შეესაბამება საკანონმდებლო მოთხოვნებს, არაა შეთანხმებული კომპეტენტურ ორგანოსთან/პირთან. პირველადი შეფასებისა, აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეუსაბამო“, ხოლო არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის საფუძველზე, შეფასება კვალიფიცირდა, როგორც „მეტწილი შესაბამისობა“. ამდენად, გაიცა შესაბამისობის რეკომენდაცია: შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოფილი იქნეს დაწესებულებაში მოქმედი საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმების საკანონმდებლო და ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობა. საგანგებო სიტუაციების მართვის ღონისძიებების გეგმა შეთანხმდეს კომპეტენტურ ორგანოსთან/პირთან.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტების მიერ შემოწმდა 5.2. კომპონენტი, რომელიც ეხება საინფორმაციო რესურსებს.

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

ექსპერტმა მანანა მახარაშვილმა განმარტა, რომ დაწესებულებაში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, არსებული პარამეტრებითა და პროგრამული უზრუნველყოფით შეესაბამება დაწესებულების პროცესებს. დაწესებულებას აქვს ერთიანი კომპიუტერული ქსელი, რომელიც ფარავს უნივერსიტეტის მთელ სივრცეს, ყველა სასწავლო და ადმინისტრაციულ კორპუსს სხვადასხვა ლოკაციაზე. მან იქვე აღინიშნა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას. დაწესებულებაში მომსახურების პროცესების დიდი ნაწილის მართვა ავტომატიზებულია, რისთვისაც აქტიურად იყენებს დაწესებულებს როგორც შიდა, ისე გარე პორტალებსა და სისტემებს. აქედან გამომდინარე, დაწესებულება მაქსიმალურად ცდილობს დაიცვას ინფორმაციული უსაფრთხოება, მათ შორის პერსონალური მონაცემები. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია დაწესებულების IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება, თუმცა დაწესებულების სასწავლო პროცესისა და მატერიალური რესურსით სარგებლობის შესახებ პროცედურები/დებულებები არ მოიცავს კონკრეტულ მითითებებს ინფრასტრუქტურის გამოყენების შესახებ პირობებს, შესაბამისად გაიცა **რეკომენდაცია**: საგანმანათლებლო-სასწავლო პროცესის გათვალისწინებით, დაწესებულებამ შეიმუშაოს ან არსებულ რეგულაციაში გაიწეროს დაწესებულების ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის გამოყენების კონკრეტულ პირობები ან/და შეზღუდვები.

5.2.2. კომპონენტთან მიმართებით პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ექსპერტმა ჯგუფის თავმჯდომარემ, მანანა მახარაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი. განსაზღვრულია დოკუმენტბრუნვის (დოკუმენტების შედგენა, ეტაპები, მიღება-აღრიცხვა, დაგზავნა,

დამუშავება) და სამუშაო პროცესებში სრულყოფილი ერთეულების კოორდინაციის საკითხები. განსაზღვრულია ბლანკის ტიპები, სახეები, გამოყენების წესები. საქმისწარმოების დოკუმენტი მოიცავს შიდა მმართველობითი დოკუმენტების (ბრძანება, ოქმი და სხვ.) შედგენის ინსტრუქციებს. დოკუმენტით რეგულირდება ინფორმაციის გაცემის წესი. ასევე საქმეთა ფორმირების, ნომენკლატურის შედგენის, დოკუმენტების შემფასებელი კომისიის/ექსპერტიზისა და დოკუმენტების შენახვის წესები. დაწესებულების საქმისწარმოების წესი.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მხრიდან დოკუმენტების აღრიცხვის ჟურნალები წარმოდგენილი არ ყოფილა, შესაბამისად, აღნიშნული საკითხების საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობა ექსპერტების მიერ არ შეფასებულა. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, დაწესებულებაში საქმისწარმოება ფაქტობრივად ელექტრონული ფორმატით მიმდინარეობს, შესაბამისად, რეესტრებიც ელექტრონულ ფორმატშია, რომელთა ამობეჭდვაც საჭიროების შემთხვევაში ხდება, აქედან გამომდინარე, ექსპერტმა ჯგუფის მხრიდან გაიცა **რეკომენდაცია**: წარმოებული იქნას პერსონალის ელექტრონული პირადი საქმეები, რომლებიც დაკომპლექტდება სრულყოფილად, საქმისწარმოების ერთიანი წესების მოთხოვნების გათვალისწინებით.

დაწესებულების მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის (e-flow). სტუდენტებთან კომუნიკაციისთვის იყენებს ელექტრონული სერვისების სისტემას (vici.gtu.ge), რომელიც წარმოადგენს უნივერსიტეტის სერვერზე განთავსებულ ბაზას, სადაც აისახება მონაცემები და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაცია, როგორიცაა: სტუდენტის პერსონალური და ბიოგრაფიული მონაცემები, საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ინფორმაცია (დასახელება, საფეხური, სწავლის საფასური), პროფესიული სტუდენტის სტატუსი და მიღწეული სწავლის შედეგების/შეფასების შესახებ ინფორმაცია, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას. ექსპერტების მიერ შემოწმებული იქნა პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში დაწესებულების გვერდი. პერსონალის (ადმინისტრაციული, პროგრამების განმახორციელებელი პირები), პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დაწესებულების შესახებ ინფორმაცია სრულყოფილადაა შეყვანილი. შემოწმებული იქნა, ასევე, პროფესიული სტუდენტების სტატუსთან (შეჩერება/შეწყვეტა) დაკავშირებული, კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ ინფორმაციის/რეკვიზიტებისა და შესაბამისი დოკუმენტების სიზუსტე და ბაზაში სრულყოფილად ასახვა. შემოწმებით დადასტურდა მონაცემების სრულყოფილად და დროულად, კანონმდებლობით დადგენილი წესითა ასახვა საინფორმაციო სისტემაში.

დაწესებულების მიერ გამოყოფილია პირი, რომელიც პასუხისმგებელია მართვის საინფორმაციო სისტემაში მონაცემების დროულ ასახვაზე. დაწესებულება დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს. ექსპერტების მიერ გადამოწმდა დაწესებულების მიერ მაკონტროლებელ უწყებასთან განხორციელებული უკუკავშირის შესახებ მტკიცებულებები. წარმოდგენილი დოკუმენტაციით განხორციელებული ცვლილებები ეხება საგანმანათლებლო პროგრამებში კვალიფიკაციის ფორმულირებისა და სამოქალაქო განათლების მოდულთან დაკავშირებულ ცვლილებებს. დაწესებულების მიერ უკუკავშირი განხორციელებულია სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილ ვადებში.

5.2.3 კომპონენტი მოიცავს იმას, რომ პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს.

ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ვიზიტის ფარგლებში მიმდინარეობდა ვებგვერდის განახლება. მათ ამ მიმართულებით გასცეს **რეკომენდაცია**: სასურველია, დაწესებულებამ მეტი ინფორმაცია განათავსოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესში განხორციელებული აქტივობების შესახებ.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას აქვს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, ამ მხრივ ექსპერტების მხრიდან გაიცა **რეკომენდაცია**: სასურველია, კატალოგი იყოს მეტად ინფორმაციული, მოიცავდეს დაწესებულების მისიას, ხედვას, ღირებულებებს. პროფესიული განათლების მიმართულებით განხორციელებული პროექტების შესახებ ინფორმაციას; საგანმანათლებლო პროგრამის, პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების თავისებურებებს და სხვა. ასევე, ტერმინი ECTS შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2020 წლის 28 დეკემბრის №120/ნ ბრძანებასთან „პროფესიული განათლების სფეროში კრედიტების სისტემის დამტკიცების შესახებ“.

მე-2 სტანდარტთან მიმართებით, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ცალ-ცალკე მიმოიხილა პროგრამები. **„მაღალი ძაბვის ელექტროტექნიკოსის“ პროგრამასთან** დაკავშირებით, ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ დაწესებულების მიერ საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით, რომელიც მის მფლობელობაშია. დაწესებულების მიერ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მაღალი ძაბვის ელექტროტექნიკოსის“ განხორციელების ადგილად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით (#01-05-04/33, 18.04.2022) განისაზღვრა მის სარგებლობაში არსებული სამეცნიერო სასწავლო და საწარმოო ცენტრი „ანალიზხელსაწყო“-ს ფართი (მისმართი: 0190 თბილისი, კახეთის გზატკეცილის #36, შენობა-ნაგებობის ფართით 7 513,5 კვ.მ, საკადასტრო კოდი 01.17.09.064.060, საერთო ფართი 27 538 კვ.მ).

საგანმანათლებლო პროგრამის „მაღალი ძაბვის ელექტროტექნიკოსის“ განსახორციელებლად ახალ ლოკაციაზე გათვალისწინებულია, A სასწავლო გარემო აუდიტორია #202 – აღჭურვილია კვოტის გათვალისწინებით (24 პროფესიული სტუდენტის, 12 მაგიდა/ორადგილიანი პროფესიული სტუდენტისთვის, 1 სამუშაო ადგილი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის (მაგიდა, პერსონალური კომპიუტერი), სადემონსტრაციო საშუალება-პროექტორი, დაფა.

B სასწავლო გარემო (#204, #207) – 12-12 სამუშაო ადგილით პროფესიული სტუდენტისთვის (მაგიდა, კომპიუტერი). 1 სამუშაო ადგილი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის (მაგიდა, პერსონალური კომპიუტერი), სადემონსტრაციო საშუალება-პროექტორი, დაფა. აუდიტორიები აღჭურვილია ასევე საოფისე ავეჯით (ტუმბოები, კარადები).

რაც შეეხება პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას, სასწავლო გარემოს მოდელი C – ელექტროტექნიკოსის ლაბორატორია – განთავსებულია: მაღალი ძაბვის გამთიშველის კარადა, ავტომატური ამომრთველით 1ც; სპილენძის გამტარი სადენები; ერთსხივიანი ოსცილოგრაფი 20 MHz; მაღალი ძაბვის ინდიკატორი; მზომი იარაღების ნაკრები; დამხმარე ხელსაწყოები.

სასწავლო გარემოს მოდელი C1 – ქვესადგური

სასწავლო გარემოს მოდელი C2 მაღალი ძაბვის ეგზ/საჰაერო ხაზი

სასწავლო გარემოს მოდელი C3 – სამრეწველო ავტომატიზაციის ლაბორატორია – აღჭურვილია პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილებით – 6 მაგიდა/ორ ადგილიანი, 12 სკამი სიმაღლის ჰიდრავლიკური კორექტირებით, პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით 1 მაგიდა/ორ ადგილიანი, 1 სკამი სიმაღლის ჰიდრავლიკური კორექტირებით, დემონსტრირების ციფრული საშუალებით, დაფა, კომპიუტერი (ლექტოპი).

პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის, კომპიუტერი (ლექტოპი) პროფესიული სტუდენტისთვის 12. პროგრამატორი; 84“ ლედ სენსორული ეკრანი; MPSR 203 14.0 სისიტემა; MPSR PA სამუშაო ადგილი; S1-DP: მართვის ნაკრები; TP700 სენსორული პანელი.

აუდიტორიები, ჩარჩო დოკუმენტის მოთხოვნის შესაბამისად, აღჭურვილია ცეცხლმაქრებითა და პირველადი დახმარების ყუთებით.

პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული 6 კომპანია: მაგრამ დაწესებულებამ წარმოადგინა მხოლოდ სს „თელასთან“ გაფორმებული ხელშეკრულება (#01-08-15/295-2018-2 (02.04.2018), რომლის თანახმად კომპანია აცხადებს მზაობას, ყოველწლიურად 3 თვით მიიღოს სტუ-ის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მაღალი ძაბვის ელექტროტექნიკოსის“ 24 პროფესიული სტუდენტი. ხელშეკრულებით განსაზღვრულია ასევე პარტნიორი კომპანიის მიერ პრაქტიკის ხელმძღვანელისგამყოფა, უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი ჩატარება და პრაქტიკის დროს განხორციელებული აქტივობების დოკუმენტირება. ანალოგიური ვალდებულებები ვრცელდება სტუ-ზეც, რომელიც ასევე იღებს ვალდებულებას სტუდენტებისთვის შრომის უსაფრთხოების და ელექტროტექნოლოგიურ დანადგარებთან მუშაობის წესების გაცნობის, დაწესებულებიდან პრაქტიკის ხელმძღვანელის გამოყოფის შესახებ.

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განსაზღვრულია 2022 წლის 31 დეკემბრამდე.

პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, სხვა კომპანიებთან თანამშრომლობას ამ ეტაპისთვის არ ახორციელებენ, რადგან სს „თელასი“ სრულად ფარავს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების შინაარსს და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული კვოტის ფარგლებში პრაქტიკის კომპონენტის სრულყოფილად განხორციელებას.

პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებასთან მიმართებით გაიცა შემდეგი შინაარსის **რეკომენდაცია** - გადაიხედოს დოკუმენტი და მისი მოქმედების ხანგრძლივობა განისაზღვროს მინიმუმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის ვადით. ამასთან, დოკუმენტში დეტალურად აღიწეროს განსახორციელებელი საათების/მოდულების სწავლის შედეგები, მათი განხორციელების/მიღწევისთვის საჭირო რესურსები.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ფაქტობრივი გარემოებიდან გამომდინარე პროგრამა, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, არ იყო უზრუნველყოფილი მის განსახორციელებლად საჭირო რესურსით. ამის გათვალისწინებით, მათი მხრიდან გაიცა შესაბამისობის რეკომენდაცია, კერძოდ: დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ახალ ფართში (ადგილზე) უზრუნველყოს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის შესაბამისი მატერიალური რესურსი (სკამები). მატერიალური რესურსის ფლობის (გადაცემის) დოკუმენტაციაში, მითითებული იქნეს პროგრამის განხორციელების კონკრეტული ლოკაცია.

ვიზიტის ფარგლებში, საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის, მათი დატვირთვის გადამოწმების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილი იქნა დოკუმენტაცია: განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები, საათობრივი დატვირთვის/სამუშაო საათების აღრიცხვის ფურცლები. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა პერსონალის პირადი დოკუმენტების (CV, კვალიფიკაციის/აკადემიური ხარისხის და სამუშაო/სწავლების, გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები, რიგ განმახორციელებთან ხელშეკრულება, მათ შორის წინმსწრები ხელშეკრულება) ელექტრონული ასლები. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, პირადი საქმეები ინახება ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტში. დოკუმენტაციის კონფიდენციალობიდან გამომდინარე მათი გატანა არ ხდება. დაწესებულების მიერ ასევე წარმოდგენილი იყო პროგრამის განმახორციელებელი პირების ნუსხა, კვალიფიკაციის/სამუშაო გამოცდილების მითითებით. წარმოდგენილი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები არ მოიცავდა პასუხისმგებელი პირის მიერ დამოწმების შტამპს. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, ექსპერტების მიერ გაიცა რეკომენდაცია საქმისწარმოებასთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, რაც დასტურდება პირად საქმეებში წარმოდგენილი დოკუმენტაციით. პერსონალს, ათასწლეულის გამოწვევის პროექტის ფარგლებში, ტრენინგი

აქვთ გავლილი როგორც ადგილობრივად, ისე გერმანიაში, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლება-შეფასების მეთოდოლოგიაში. ამავე პროექტის ფარგლებში, განხორციელდა ჩარჩო დოკუმენტის შემუშავება, სადაც ჩართული იყო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი. იქვე აღინიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომლის კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ შინაარსს. აქედან გამომდინარე, ექსპერტების მხრიდან გაიცა **რეკომენდაცია**, კერძოდ: დაწესებულებამ უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნების, სამუშაო აღწერილობის შემუშავება და პროფესიული საგანმანათლებლო სისტემის მოთხოვნების ასახვა.

ექსპერტ მანანა მახარაშვილის მხრიდან აღინიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით ბიბლიოთეკასა და დარგობრივ აუდიტორიებში და გამოიყენება სასწავლო პროცესში. ვიზიტის ფარგლებში შემოწმდა ბიბლიოთეკა, რომლის დროსაც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი გადამოწმდა. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და მასწავლებლებისთვის. FESTO-ს სასწავლო რესურსი, განმახორციელებელი პირების მიერ თარგმნილია და განთავსებულია ბიბლიოთეკაში CD-ის სახით. ელ. რესურსი ასევე განთავსებულია დაწესებულების ვებგვერდზე. სასწავლო რესურსით სარგებლობის/გამოყენების მტკიცებულებები არ ყოფილა წარმოდგენილი, რადგან სასწავლო ფართში ბიბლიოთეკა ფუნქციონირებას დაიწყებს დაწესებულებისთვის საგანმანათლებლო პროგრამის ახალ ფართზე განხორციელების უფლების მინიჭების შემდეგ. იქვე აღინიშნა, რომ დაწესებულებას ასეთი პირები პროგრამაზე არ ჰყავს, შესაბამისად, აღნიშნული მიმართულებით სერვისის მიწოდების პრაქტიკა არ აქვს, თუმცა დაწესებულების რეგულაციების თანახმად, სსსმ პირებს ექნებათ წვდომის შესაძლებლობა პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომელთა ადაპტირებაც მოხდება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნების შესაბამისად („სტუ-ში მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, მუხლი 15. „სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები“).

ამ მიმართულებით მათი მხრიდან გაიცა **რეკომენდაცია**, კერძოდ: სასურველია, დაწესებულებამ პროცედურაში მოახდინოს შშმ დ. სსსმ პირთა კონკრეტულ საჭიროებებზე შესაბამისი სერვისების იდენტიფიცირება, რაც დაწესებულების მხრიდან იქნება შეთავაზებული (მაგ. მხედველობის დაქვეითების მქონე პირთათვის აუდიოტექსტის ან გაზრდილი შრიფტით შეთავაზება და ა.შ.).

პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფისა და კონტროლის მიზნით, დაწესებულებას შემუშავებული აქვს მექანიზმები („სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების მიზნებისათვის პასუხისმგებლობის გადანაწილების, დელეგირებისა და ანგარიშვალდებულების წესი“), რომლებიც უზრუნველყოფს სტუ-ის დასახული მიზნების მიღწევისათვის რესურსების კანონიერი, გამჭვირვალე, ეკონომიურ, ეფექტიან და პროდუქტიულ გამოყენებას. ფინანსურად მდგრადია ასევე საგანმანათლებლო პროგრამის წარმოდგენილი ბიუჯეტის მაჩვენებლების მიხედვით. პროგრამის ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა სახელმწიფო დაფინანსება (ვაუჩერული და პროგრამული). პროგრამის ძირითად ხარჯებს შეადგენს პერსონალის ანაზღაურება.

2.4 კომპონენტი მოიცავს სასწავლო პროცესის ორგანიზებას და პროფესიულ სტუდენტთა შეფასებას. 2.4.1 კი უშუალოდ გულისხმობს სასწავლო პროცესის უზრუნველყოფას, სასწავლო

მიზნების მიღწევას. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად. ამას მოწმობს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია. პროგრამას დანართის სახით თან ერთვის სასწავლო გეგმა, რომლის მიხედვითაც ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ორგანიზება და რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა წინაპირობების გათვალისწინებით. იქვე აღინიშნა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

ექსპერტმა მანანა მახარაშვილმა აღნიშნა, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. სასწავლო პროცესში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები - კომპანია FESTO-ს სიმულატორები, შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით. მოდულებში გამოყენებულია სწავლების ინტერაქციული მეთოდები: ინტერაქციული ლექცია, დემონსტრირება, პრეზენტაცია, სქემების/ტექნიკური ნახაზების ჩვენება-განხილვა, ჯგუფური სამუშაოს შესრულება, პრაქტიკული შემთხვევების და კრიტიკული შემთხვევების განხილვა, პროექტის შესრულება და სხვ. ასევე პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, ამ მიზნით სტუ-ის რეგულაცია ითვალისწინებს მექანიზმებს, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნეს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულება თანამშრომლობს პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორ დაწესებულებასთან, რაც დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით. დაწესებულებასა და სს „თელას“-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულება ითვალისწინებს მისაღები სტუდენტების რაოდენობას, მათი უსაფრთხოების საკითხების გაცნობა-სწავლებას, პრაქტიკის განხორციელებისთვის საჭირო დოკუმენტაციის წარმოებას, მხარეების უფლება-მოვლევობებსა და პასუხისმგებლობებს.

ამ მიმართულებით ექსპერტების მხრიდან გაიცა **რეკომენდაცია** ხელშეკრულებასთან დაკავშირებით: დაკონკრეტდეს პროფესიული სტუდენტების შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის გარანტიები, საკანონმდებლო და ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტების მხრიდან ყურადღება გამახვილებული იყო უსაფრთხოების საკითხებზე, კერძოდ აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. სასწავლო გარემო მოწყობილია თანამედროვე ტექნოლოგიების, ლიდერი კომპანიის FESTO მიერ წარმოებული სიმულატორებით. აღჭურვილობას თან ახლავს ტექნიკური დოკუმენტაცია, ინსტრუქციები, პრაქტიკული სავარჯშოები, შესრულების ინსტრუქციებითა და მეთოდოლოგიით, სადენები მოწყობილია კაბელ-არხებში. თუმცა დარგობრივ კაბინეტებში სრულყოფილად არაა წარმოდგენილი უსაფრთხოების შესახებ ინფორმაცია, ასევე დარგობრივ კაბინეტებში არაა ინსტრუქტაჟის აღრიცხვის ფურცლები/ჟურნალები. ჩარჩო დოკუმენტისა და თავად დაწესებულების მიერ წარმოდგენილ C აღწერაში, განსაკუთრებულ უსაფრთხოების მოთხოვნებში ცეცხლმაქრსა და პირველადი აფთიაქის ყუთთან ერთად აქცენტირებულია დამიწების ქსელი. შესაბამისად, საკანონმდებლო მოთხოვნების უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს დამიწების ქსელის უსაფრთხოების ყოველწლიური ექსპერტიზა/მონიტორინგი.

ექსპერტების მხრიდან გაიცა **რეკომენდაცია**: სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს, საკანონმდებლო მოთხოვნების გათვალისწინებით, რისკების მართვა-განახლება, მათ შორის დამიწების ქსელის უსაფრთხოების ყოველწლიური ექსპერტიზა/მონიტორინგი.

2.4.2 კომპონენტთან მიმართებით სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას. ექსპერტ მანანა მახარაშვილის განმარტებით, პროგრამის მიზნებისთვის

გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

ვიზიტის დროს ექსპერტთა მიერ შემოწმებული იქნა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემუშავებული ინსტრუმენტები, იმ მიზნით, თუ რამდენად არის შეფასების სისტემა/ინსტრუმენტები ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. წარმოდგენილ ინსტრუმენტები იძლევა შესაფასებელი კომპონენტის შეფასების შესაძლებლობას, ამასთან დაწესებულება შეფასებისას იყენებს ასევე FESTOS დიდაქტიკურ მასალას. ინსტრუმენტები მოიცავს ყველა საჭირო ინფორმაციას შეფასების პირობებსა და მოთხოვნებზე, შეფასების მტკიცებულებები რელევანტურია. ვერიფიკაციის დასკვნით არაა გამოვლენილი არაობიექტური შეფასების ფაქტი, თუმცა გაცემულია **რეკომენდაცია**: სასურველია, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, დაწესებულებაში არსებული პრაქტიკის შესაბამისად, დაკონკრეტდეს განმეორებითი შეფასების შესაძლებლობის შესახებ დებულებები. ასევე წესში გაიწეროს გასაჩივრების, შედეგების გამოქვეყნება-ინფორმირებისა და შეფასების პროცესის სხვა ადმინისტრაციული პროცესები.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის წესი, რომლის თანახმად, პროცესის დაგეგმვა და წარმართვა ფაკულტეტის დეკანატისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციებია. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი ადგენს გეგმას, წარადგენს ვერიფიკაციის ჯგუფის წევრებს. პროცედურით გაწერილია ვერიფიკაციის პროცესში ჩართული პირების ფუნქციები. დაწესებულება პროცესის დოკუმენტირებისა და ასევე რისკების შეფასებისთვის იყენებს სსიპ - განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის მიერ რეკომენდებულ ფორმებს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო ვერიფიკაციის განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტები. პსდ-ს მიერ განხორციელებული ვერიფიკაციის ანგარიშის შედეგებით, უშუალოდ შეფასების პროცესთან მიმართებით შენიშვნები, რეკომენდაციები არაა დაფიქსირებული. გარკვეული შენიშვნებია გამოთქმული შეფასების ინსტრუმენტის შესრულებაში ინსტრუქციებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ვერიფიკაციის მასალებსა და შეფასების ინსტრუმენტებს და გაიცა შემდეგი შინაარსის **რეკომენდაცია**: შეფასების ინსტრუმენტების შეფასებისას უზრუნველყოფილი იქნეს ჩანაწერები, რომლითაც იდენტიფიცირდება სტუდენტის მიერ სწორად ან არასწორად შესრულებული დავალება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის „მაღალი ძაბვის ელექტროტექნიკოსის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ განაცხადის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის

შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 52-ე მუხლის შესაბამისად, განხორციელდეს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (ს/კ:211349192) „მაღალი ძაბვის ელექტროტექნიკოსის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება (დანართი 1).

2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის „მექატრონიკის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილებების შესახებ საკითხის განხილვა;

ექსპერტმა მანანა მახარაშვილმა აღნიშნა, რომ უკვე მიმოიხილა ყველა პროგრამისთვის 5.1. და 5.2. კომპონენტების შეფასება, ახლა „მექატრონიკის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მხოლოდ 2.2. და 2.4. კომპონენტების შეფასებას გააცნობს საბჭოს. ექსპერტმა მანანა მახარაშვილმა აღნიშნა, რომ თავდაპირველი შეფასებით, ამ პროგრამისთვისაც, 2.2. კომპონენტი შეფასდა, როგორც „შეუსაბამობა“, რადგან საკამების რაოდენობა არ შეესაბამებოდა დადგენილ კვოტას. ექსპერტის თქმით, დაწესებულებამ განმარტა, რომ მიმდინარეობდა კონსოლიდირებული შესყიდვა, თუმცა შექმნილი გლობალური პრობლემების გამო შეფერხდა შესყიდვის პროცესი. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, მათ გასცეს შესაბამისობის რეკომენდაციები, თუმცა ასევე აღინიშნა მისი მხრიდან, რომ შემდეგში დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად გადმოაგზავნა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც დაფიქსირებული იყო რომ 2.2.1. კომპონენტთან, სკამებთან მიმართებით მას შესრულებული ჰქონდა ეს აქტივობა.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი და 2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

პრაქტიკულ კომპონენტთან მიმართებით, ექსპერტების მხრიდან აღინიშნა, რომ სასწავლო გარემოს მოდელი C - ელექტროტექნიკოსის ლაბორატორია - განთავსებულია: მაღალი ძაბვის გამთიშველი კარადა, ავტომატური ამომრთველით 1ც; სპილენძის გამტარი სადენები; ერთსხივიანი ოსცილოგრაფი 20 MHz; მაღალი ძაბვის ინდიკატორი; მზომი იარაღების ნაკრები; დამხმარე ხელსაწყოები.

სასწავლო გარემოს მოდელი C1 - მექანიკური ნაკრებები; ჰიდრავლიკური მოწყობილობები; ელექტროჰიდრავლიკური სტენდები; პნევმატური სისტემები; ელექტრო პნევმატური სტენდები; სახარატო ხრახნმჭრელი ჩარხი 1ც; საფრეზი ჩარხი 1ც; ვერტიკალური საბურღი ჩარხი 1ც; ექვსკუთხა სამუშაო მაგიდა; მზომი იარაღების და დამხმარე ხელსაწყოების ნაკრები საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა კვოტის გათვალისწინებით. სასწავლო გარემოს მოდელი C2 - EMCOMAT EM17D სამუშაო სადგური; EMCOMAT FB-3 მანქანა; KT 130; MPSR PA პროცესების მართვის სამუშაო ადგილი; PC2 მართვის ნაკრები; S1-DP მართვის ნაკრები S7-314C2PN/DP. სასწავლო გარემოს მოდელი C3 - სამრეწველო ავტომატიზაციის ლაბორატორია

- აღჭურვილია პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილებით - 6 მაგიდა/ორ ადგილიანი, 12 სკამი სიმაღლის ჰიდრავლიკური კორექტირებით, პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით 1 მაგიდა/ორ ადგილიანი, 1 სკამი სიმაღლის ჰიდრავლიკური კორექტირებით, დემონსტრირების ციფრული საშუალებით, დაფა, კომპიუტერი (ლექტოპი) პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის, კომპიუტერი (ლექტოპი) პროფესიული სტუდენტისთვის 12. პროგრამატორი; 84“ ლედ სენსორული ეკრანი; MPSR 203 14.0 სისიტემა; MPSR PA სამუშაო ადგილი; S1-DP: მართვის ნაკრები; TP700 სენსორული პანელი. აუდიტორიები, ჩარჩო დოკუმენტის მოთხოვნის შესაბამისად, აღჭურვილია ცეცხლმაქრებითა და პირველადი დახმარების ყუთებით.

ექსპერტმა მანანა მახარაშვილმა აღნიშნა, რომ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით, ხელშეკრულებები გაფორმებულია შემდეგ კომპანიებთან: შპს „ილეკრო“ (#435 -2017-2, 1-0.08.2017), შპს „ელიტა ბურჯი“ (#433-2017-2, 10.08.2017), შპს. „ნოვატორ ტექნოლოჯი“ (#434-2017-2, 10.08.2017).

ხელშეკრულებებით განსაზღვრულია პარტნიორი კომპანიის მიერ პრაქტიკის ხელმძღვანელის გამოყოფა, უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი ჩატარება და პრაქტიკის დროს განხორციელებული აქტივობების დოკუმენტირება. ანალოგიური ვალდებულებები ვრცელდება სტუ-ზეც, რომელიც ასევე იღებს ვალდებულებას სტუდენტებისთვის შრომის უსაფრთხოების და ელექტროტექნოლოგიურ დანადგარებთან მუშაობის წესების გაცნობის, დაწესებულებიდან პრაქტიკის ხელმძღვანელის გამოყოფის შესახებ. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განსაზღვრულია 2022 წლის 31 დეკემბრამდე.

ვიზიტის ფარგლებში შერჩევითი პრინციპით ჩართვა განხორციელდა ორ კომპანიასთან (შპს „ელიტა ბურჯი“ და შპს. „ნოვატორ ტექნოლოჯი“). მათ დაადასტურეს მზაობა პროგრამის კვოტის ფარგლებში პროფესიული სტუდენტების მიღებასა და საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული საათების განხორციელების შესახებ. კომპანიის წარმომადგენლები იცნობენ მოდულების (გაცნობითი პრაქტიკა და საწარმოო პრაქტიკა) შინაარსსა და მოთხოვნებს. შესაბამისად, აღწერული გარემოებებიდან გამომდინარე, პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებასთან მიმართებით გაიცა შემდეგი შინაარსის რეკომენდაცია - გადაიხედოს დოკუმენტი და მისი მოქმედების ხანგრძლივობა განისაზღვროს მინიმუმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის ვადით. ამასთან, დოკუმენტში დეტალურად აღიწეროს განსახორციელებელი საათების/მოდულების/სწავლის შედეგები, მათი განხორციელების/მიღწევისთვის საჭირო რესურსები. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, პროგრამა, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, არ იყო უზრუნველყოფილი მის განსახორციელებლად საჭირო რესურსით (შესაბამისი რაოდენობის სკამებით). პირველადი შეფასებისას, ინდიკატორი შეფასდა არაადაპტაციულობის საფრთხის საფრთხიდან. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით, ინდიკატორის შეფასდა, როგორც „მეტწილი შესაბამისობა“, თუმცა საბოლოო ჯამში, დღეს არსებული შეფასების სისტემის თანახმად, კომპონენტი შესაბამისობაშია, ამრიგად, გაიცა შესაბამისობის რეკომენდაცია, კერძოდ: დაწესებულებამ, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ახალ ფართში (ადგილზე), უზრუნველყოს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის შესაბამისი მატერიალური რესურსი (სკამები). მატერიალური რესურსის ფლობის (გადაცემის) დოკუმენტაციაში მითითებული იქნეს პროგრამის განხორციელების კონკრეტული ლოკაცია.

ვიზიტის ფარგლებში, საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის, მათი დატვირთვის გადამოწმების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილი იქნა დოკუმენტაცია: განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები, საათობრივი დატვირთვის/სამუშაო საათების აღრიცხვის ფურცლები. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა პერსონალის პირადი დოკუმენტების (CV, კვალიფიკაციის/აკადემიური

ხარისხის და სამუშაო/სწავლებისგამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები, რიგ განმახორციელებთან ხელშეკრულება, მათ შორის წინმსწრები ხელშეკრულება) ელექტრონული ასლები. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, პირადი საქმეები ინახება ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტში. დოკუმენტაციის კონფიდენციალობიდან გამომდინარე, მათი გატანა არ ხდება. დაწესებულების მიერ ასევე წარმოდგენილი იყო პროგრამის განმახორციელებელი პირების ნუსხა, კვალიფიკაციის/სამუშაო გამოცდილების მითითებით. წარმოდგენილი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები არ მოიცავდა პასუხისმგებელი პირის მიერ დამოწმების შტამპს. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, ექსპერტების მიერგაიცა რეკომენდაცია საქმისწარმოებასთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, რაც დასტურდება პირად საქმეებში წარმოდგენილი დოკუმენტაციით. პერსონალს ათასწლეულის გამოწვევის პროექტის ფარგლებში ტრენინგი აქვთ გავლილი როგორც ადგილობრივად, ისე გერმანიაში, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლება-შეფასების მეთოდოლოგიაში. ამავე პროექტის ფარგლებში განხორციელდა ჩარჩო დოკუმენტის შემუშავება, სადაც ჩართული იყო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი. იქვე აღინიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომლის კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ შინაარსს. აქედან გამომდინარე, ექსპერტების მხრიდან გაიცა **რეკომენდაცია**, კერძოდ: დაწესებულებამ უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნების, სამუშაო აღწერილობის შემუშავება და პროფესიული საგანმანათლებლო სისტემის მოთხოვნების ასახვა.

ექსპერტ მანანა მახარაშვილის მხრიდან აღინიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული სახით, ისე მატერიალური სახით ბიბლიოთეკასა და დარგობრივ აუდიტორიებში და გამოიყენება სასწავლო პროცესში. ვიზიტის ფარგლებში შემოწმდა ბიბლიოთეკა, რომლის დროსაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი გადამოწმდა. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და მასწავლებლებისთვის. FESTO-ს სასწავლო რესურსი, განმახორციელებელი პირების მიერ თარგმნილია და განთავსებულია ბიბლიოთეკაში CD-ის სახით. ელ. რესურსი ასევე განთავსებულია დაწესებულების ვებგერდზე. სასწავლო რესურსით სარგებლობის/გამოყენების მტკიცებულებები არ ყოფილა წარმოდგენილი, რადგან სასწავლო ფართში ბიბლიოთეკა ფუნქციონირებას დაიწყებს დაწესებულებისთვის საგანმანათლებლო პროგრამის ახალ ფართზე განხორციელების უფლების მინიჭების შემდეგ. იქვე აღინიშნა, რომ დაწესებულებას ასეთი პირები პროგრამაზე არ ჰყავს, შესაბამისად, აღნიშნული მიმართულებით სერვისის მიწოდების პრაქტიკა არ აქვს, თუმცა დაწესებულების რეგულაციების თანახმად, სსსმ პირებს ექნებათ წვდომის შესაძლებლობა პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომელთა ადაპტირებაც მოხდება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნების შესაბამისად („სტუ-ში მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, მუხლი 15. „სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები“).

ამ მიმართულებით, მათი მხრიდან გაიცა **რეკომენდაცია**, კერძოდ: სასურველია, დაწესებულებამ პროცედურაში მოახდინოს შშმ დ სსსმ პირთა კონკრეტულ საჭიროებებზე შესაბამისი სერვისების იდენტიფიცირება, რაც დაწესებულების მხრიდან იქნება შეთავაზებული (მაგ. მხედველობის დაქვეითების მქონე პირთათვის აუდიოტექსტის ან გაზრდილი შრიფტით შეთავაზება და ა.შ.).

პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფისა და კონტროლის მიზნით, დაწესებულებას შემუშავებული აქვს მექანიზმები („სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების მიზნებისათვის პასუხისმგებლობის გადანაწილების, დელეგირებისა და ანგარიშვალდებულების წესი“), რომლებიც უზრუნველყოფს სტუ-ის დასახული მიზნების მიღწევისათვის რესურსების კანონიერი, გამჭვირვალე, ეკონომიურ, ეფექტიან და პროდუქტიულ გამოყენებას. ფინანსურად მდგრადია ასევე საგანმანათლებლო პროგრამის წარმოდგენილი ბიუჯეტის მაჩვენებლების მიხედვით. პროგრამის ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა სახელმწიფო დაფინანსება (ვაუჩერული და პროგრამული). პროგრამის ძირითად ხარჯებს შეადგენს პერსონალის ანაზღაურება.

2.4 კომპონენტი მოიცავს სასწავლო პროცესის ორგანიზებას და პროფესიულ სტუდენტთა შეფასებას. 2.4.1 კი უშუალოდ გულისხმობს სასწავლო პროცესის უზრუნველყოფას და სასწავლო მიზნების მიღწევას. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად. ამას მოწმობს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია. პროგრამას დანართის სახით თან ერთვის სასწავლო გეგმა, რომლის მიხედვითაც ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ორგანიზება და რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა წინაპირობების გათვალისწინებით, იქვე აღინიშნა რომ დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

ექსპერტმა მანანა მახარაშვილმა აღნიშნა, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. სასწავლო პროცესში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები - კომპანია FESTO-ს სიმულატორები, შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით. მოდულებში გამოყენებულია სწავლების ინტერაქციული მეთოდები: ინტერაქციული ლექცია, დემონსტრირება, პრეზენტაცია, სქემების/ტექნიკური ნახაზების ჩვენება-განხილვა, ჯგუფური სამუშაოს შესრულება, პრაქტიკული შემთხვევების და კრიტიკული შემთხვევების განხილვა, პროექტის შესრულება და სხვ. ასევე პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, ამ მიზნით სტუ-ის რეგულაცია ითვალისწინებს მექანიზმებს, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნეს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტების მხრიდან ყურადღება გამახვილებული იყო უსაფრთხოების საკითხებზე, კერძოდ აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. სასწავლო გარემო მოწყობილია თანამედროვე ტექნოლოგიების, ლიდერი კომპანიის FESTO მიერ წარმოებული სიმულატორებით. აღჭურვილობას თან ახლავს ტექნიკური დოკუმენტაცია, ინსტრუქციები, პრაქტიკული სავარჯშოები, შესრულების ინსტრუქციებითა და მეთოდოლოგიით, სადენები მოწყობილია კაბელ-არხებში. თუმცა დარგობრივ კაბინეტებში სრულყოფილად არაა წარმოდგენილი უსაფრთხოების შესახებ ინფორმაცია, ასევე დარგობრივ კაბინეტებში არაა ინსტრუქტაჟისადრიცხვის ფურცლები/ჟურნალები. ჩარჩო დოკუმენტისა და თავად დაწესებულების მიერ წარმოდგენილ C აღწერაში, განსაკუთრებულ უსაფრთხოების მოთხოვნებში ცეცხლმაქრსა და პირველადი აფთიაქის ყუთთან ერთად აქცენტირებულია დამიწების ქსელი. შესაბამისად, საკანონმდებლო მოთხოვნების უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს დამიწების ქსელის უსაფრთხოების ყოველწლიური ექსპერტიზა/მონიტორინგი. აქედან გამომდინარე, ექსპერტების მხრიდან გაიცა რეკომენდაცია:

სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს, საკანონმდებლო მოთხოვნების გათვალისწინებით რისკების მართვა-განახლება, მათ შორის დამიწების ქსელის უსაფრთხოების ყოველწლიური ექსპერტიზა/მონიტორინგი.

2.4.2 კომპონენტთან მიმართებით სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას. ექსპერტ მანანა მახარაშვილის განმარტებით, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

ვიზიტის დროს ექსპერტთა მიერ შემოწმებული იქნა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემუშავებული ინსტრუმენტები იმ მიზნით, თუ რამდენად არის შეფასების სისტემა/ინსტრუმენტები ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. წარმოდგენილი ინსტრუმენტები იძლევა შესაფასებელი კომპონენტის შეფასების შესაძლებლობას, ამასთან დაწესებულება შეფასებისას იყენებს ასევე FESTOS დიდაქტიკურ მასალას. ინსტრუმენტები მოიცავს ყველა საჭირო ინფორმაციას შეფასების პირობებსა და მოთხოვნებზე, შეფასების მტკიცებულებები რელევანტურია. გაცემულია შემდეგი რეკომენდაცია: სასურველია, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, დაწესებულებაში არსებული პრაქტიკის შესაბამისად, დაკონკრეტდეს განმეორებითი შეფასების შესაძლებლობის შესახებ დებულებები. ასევე წესში გაიწეროს გასაჩივრების, შედეგების გამოქვეყნება-ინფორმირებისა და შეფასების პროცესის სხვა ადმინისტრაციული პროცესები.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის წესი, რომლის თანახმად, პროცესის დაგეგმვა და წარმართვა ფაკულტეტის დეკანატისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციებია. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი ადგენს გეგმას, წარადგენს ვერიფიკაციის ჯგუფის წევრებს. პროცედურით გაწერილია ვერიფიკაციის პროცესში ჩართული პირების ფუნქციები. დაწესებულება პროცესის დოკუმენტირებისა და ასევე რისკების შეფასებისთვის იყენებს სსიპ - განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის მიერ რეკომენდებულ ფორმებს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო ვერიფიკაციის განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტები. პსდ-ს მიერ განხორციელებული ვერიფიკაციის ანგარიშის შედეგებით, უშუალოდ შეფასების პროცესთან მიმართებით შენიშვნები, რეკომენდაციები არაა დაფიქსირებული. გარკვეული შენიშვნებია გამოთქმული შეფასების ინსტრუმენტის შესრულებაში ინსტრუქციებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ვერიფიკაციის მასალებსა და შეფასების ინსტრუმენტებს და გაიცა შემდეგი შინაარსის **რეკომენდაცია**: შეფასების ინსტრუმენტების შეფასებისას უზრუნველყოფილი იქნეს ჩანაწერები, რომლითაც იდენტიფიცირდება სტუდენტის მიერ სწორად ან არასწორად შესრულებული დავალება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის „მექატრონიკის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ განაცხადის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 52-ე მუხლის შესაბამისად, განხორციელდეს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (ს/კ: 211349192) „მექატრონიკის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება (დანართი 2).

3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის „სამრეწველო ავტომატიზაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილებების შესახებ საკითხის განხილვა;

„სამრეწველო ავტომატიზაციის“ საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებითაც ექსპერტმა მანანა მახარაშვილმა აღნიშნა, რომ თავდაპირველი შეფასებით 2.2. კომპონენტი შეფასდა, როგორც „შეუსაბამო“, რადგან ამ პროგრამისთვისაც, სკამების რაოდენობა არ შეესაბამებოდა დადგენილ კვოტას. ექსპერტის თქმით, დაწესებულებამ განმარტა, რომ მიმდინარეობდა კონსოლიდირებული შესყიდვა, თუმცა შექმნილი გლობალური პრობლემების გამო შეფერხდა შესყიდვის პროცესი. გასცეს შესაბამისობის რეკომენდაციები, თუმცა აქვე აღინიშნა, რომ შემდეგში დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად გადმოაგზავნა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც დაფიქსირებული იყო, რომ 2.2. 1. კომპონენტთან, სკამებთან მიმართებით მას შესრულებული ჰქონდა ეს აქტივობა, მე-2 სტანდარტთან მიმართებით, 2.2. კომპონენტის ფარგლებში „სამრეწველო ავტომატიზაციის“ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის - სასწავლო გარემოს მოდელი C (აუდიტორია #104) - მართვის სისტემების მოდელირების ლაბორატორია - აღჭურვილია ციფრული და ელექტრული წრედების ასაგები მობილური ლაბორატორიული სტენდი; კვების ბლოკის ნაკრები, კომპრესორი და მისი აქსესუარები, ტექნოლოგიური პროცესების მოწყობილობების ნაკრები, ლიცენზირებული სასწავლო პროგრამები; სასწავლო მიკროპროცესორული პლატები, ანტისტატიკური ხალათი, ანტისტატიკური სამაჯური, დამცავი სათვალეები, მზომი ხელსაწყოების, სამუშაო ინსტრუმენტები და ჩარჩო დოკუმენტის მატერიალური რესურსით გათვალისწინებული სხვა მოწყობილობები. აუდიტორიები ასევე აღჭურვილია პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებლისთვის სამუშაო ადგილითა და შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკით, სადემონსტრაციო და ბეჭდვის საშუალებებით. აუდიტორიები, ჩარჩო დოკუმენტის მოთხოვნის შესაბამისად, აღჭურვილია ცეცხლმაქრებითა და პირველადი დახმარების ყუთებით.

რესურსი საკმარისია პროგრამისთვის განსაზღვრული კვოტის გათვალისწინებით. პროგრამის განხორციელება იგეგმება 2 ჯგუფად, თითოეულში 12-12 პროფესიული სტუდენტი.

საერთო დარგობრივი მოდულების განხორციელებისთვის ასევე გამოიყენება აუდიტორია #105. აუდიტორიები აღჭურვილია თანამედროვე აპარატურით, რაც უზრუნველყოფს სასწავლო

პროცესში გამოყენებულ იქნას თანამედროვე ტექნოლოგიები. საგანმანათლებლო პროგრამის რესურსი ძირითადად შემენილია რუსთაველის ფონდის გრანტის, ათასწლეულის გამოწვევისა და ტემპუსის პროექტების ფარგლებში.

საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით, დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შემდეგ კომპანიებთან: შპს „ელექტრონიკს 07“ და შპს „რუსთავის ფოლადთან“. გაფორმებული ხელშეკრულებების თანახმად კომპანიები აცხადებენ მზაობას, მიიღონ სტუ-ის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტები კვოტის ფარგლებში (24 სტუდენტი). ხელშეკრულებით განსაზღვრულია განსახორციელებელი მოდულები (მოცულობა, საათების რაოდენობა), პარტნიორი კომპანიის მიერ პრაქტიკის ხელმძღვანელის გამყოფა, უსაფრთხოების ინსტრუქტაჟის ჩატარება და პრაქტიკის დროს განხორციელებული აქტივობების დოკუმენტირება. ანალოგიური ვალდებულებები ვრცელდება სტუ-ზეც, რომელიც ასევე იღებს ვალდებულებას სტუდენტებისთვის შრომის უსაფრთხოების და ელექტროტექნოლოგიურ დანადგარებთან მუშაობის წესების გაცნობის, დაწესებულებიდან პრაქტიკის ხელმძღვანელის გამოყოფის შესახებ. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განსაზღვრულია 2022 წლის 31 დეკემბრამდე.

პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებასთან მიმართებით გაიცა შემდეგი შინაარსის **რეკომენდაცია**: გადაიხედოს დოკუმენტი და მისი მოქმედების ხანგრძლივობა განისაზღვროს მინიმუმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის ვადით. ამასთან დოკუმენტში დეტალურად აღიწეროს განსახორციელებელი საათების/მოდულების/სწავლის შედეგები, მათი განხორციელების/მიღწევისთვის საჭირო რესურსები.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ფაქტობრივი გარემოებიდან გამომდინარე პროგრამა, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, არ იყო უზრუნველყოფილი მის განსახორციელებლად საჭირო რესურსით, ამის გათვალისწინებით, მათი მხრიდან გაიცა **შესაბამისობის რეკომენდაცია**, კერძოდ: დაწესებულებამ, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ახალ ფართში (ადგილზე), უზრუნველყოს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისმიღწევისთვის შესაბამისი მატერიალური რესურსი (სკამები). მატერიალური რესურსის ფლობის (გადაცემის) დოკუმენტაციაში, მითითებული იქნეს, პროგრამის განხორციელების კონკრეტული ლოკაცია.

ვიზიტის ფარგლებში, საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის, მათი დატვირთვის გადამოწმების მიზნით, ექსპერტთაჯგუფის მიერ გამოთხოვილი იქნა დოკუმენტაცია: განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები, საათობრივი დატვირთვის/სამუშაო საათების აღრიცხვის ფურცლები. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა პერსონალის პირადი დოკუმენტების (CV, კვალიფიკაციის/აკადემიური ხარისხის და სამუშაო/სწავლებისგამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები, რიგ განმახორციელებთან ხელშეკრულება, მათ შორის წინმსწრები ხელშეკრულება) ელექტრონული ასლები. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, პირადი საქმეები ინახება ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტში. დოკუმენტაციის კონფიდენციალობიდან გამომდინარე მათი გატანა არ ხდება. დაწესებულების მიერ ასევე წარმოდგენილი იყო პროგრამისგანმახორციელებელი პირების ნუსხა, კვალიფიკაციის/სამუშაო გამცდილების მითითებით. წარმოდგენილი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები არ მოიცავდა პასუხისმგებელი პირის მიერ დამოწმების შტამპს. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, ექსპერტების მიერ გაიცა რეკომენდაცია საქმისწარმოებასთან დაკავშირებით.

ექსპერტმა ჯგუფმა აღნიშნა, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, რაც დასტურდება პირად საქმეებში წარმოდგენილი

დოკუმენტაციით. პერსონალს ათასწლეულის გამოწვევის პროექტის ფარგლებში ტრენინგი აქვთ გავლილი როგორც ადგილობრივად, ისე გერმანიაში საგანმანათლებლო პროგრამის სწავლება-შეფასების მეთოდოლოგიაში. ამავე პროექტის ფარგლებში განხორციელდა ჩარჩო დოკუმენტის შემუშავება, სადაც ჩართული იყო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი. იქვე აღინიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. რომლის კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ შინაარსს, აქედან გამომდინარე, ექსპერტების მხრიდან გაიცა **რეკომენდაცია**, კერძოდ: დაწესებულებამ უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნების, სამუშაო აღწერილობის შემუშავება და პროფესიული საგანმანათლებლო სისტემის მოთხოვნების ასახვა.

ექსპერტ მანანა მახარაშვილის მხრიდან აღინიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით ბიბლიოთეკასა და დარგობრივ აუდიტორიებში და გამოიყენება სასწავლო პროცესში. ვიზიტის ფარგლებში შემოწმდა ბიბლიოთეკა, რომლის დროსაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი გადმოწმდა. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და მასწავლებლებისთვის. FESTO-ს სასწავლო რესურსი, განმახორციელებელი პირების მიერ თარგმნილია და განთავსებულია ბიბლიოთეკაში CD-ის სახით. ელ. რესურსი ასევე განთავსებულია დაწესებულების ვებგვერდზე. სასწავლო რესურსით სარგებლობის/გამოყენების მტკიცებულებები არ ყოფილა წარმოდგენილი, რადგან სასწავლო ფართში ბიბლიოთეკა ფუნქციონირებას დაიწყებს დაწესებულებისთვის საგანმანათლებლო პროგრამის ახალ ფართზე განხორციელების უფლების მინიჭების შემდეგ. აღინიშნა, რომ დაწესებულებას ასეთი პირები პროგრამაზე არ ჰყავს, შესაბამისად, აღნიშნული მიმართულებით სერვისის მიწოდების პრაქტიკა არ აქვს, თუმცა დაწესებულების რეგულაციების თანახმად, სსსმ პირებს ექნებათ წვდომის შესაძლებლობა პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომელთა ადაპტირებაც მოხდება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნების შესაბამისად („სტუ-ში მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, მუხლი 15. „სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები“).

ამ მიმართულებით მათი მხრიდან გაიცა **რეკომენდაცია**, კერძოდ: სასურველია, დაწესებულებამ პროცედურაში მოახდინოს შშმ დ. სსსმ პირთა კონკრეტულ საჭიროებებზე შესაბამისი სერვისების იდენტიფიცირება, რაც დაწესებულების მხრიდან იქნება შეთავაზებული (მაგ. მხედველობის დაქვეითების მქონე პირთათვის აუდიოტექსტის ან გაზრდილი შრიფტით შეთავაზება და ა.შ.).

პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფისა და კონტროლის მიზნით, დაწესებულებას შემუშავებული აქვს მექანიზმები („სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების მიზნებისათვის პასუხისმგებლობის გადანაწილების, დელეგირებისა და ანგარიშვალდებულების წესი“), რომლებიც უზრუნველყოფს სტუ-ის დასახული მიზნების მიღწევისათვის რესურსების კანონიერი, გამჭვირვალე, ეკონომიურ, ეფექტიან და პროდუქტიულ გამოყენებას. ფინანსურად მდგრადია ასევე საგანმანათლებლო პროგრამის წარმოდგენილი ბიუჯეტის მაჩვენებლების მიხედვით. პროგრამის ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა სახელმწიფო დაფინანსება (ვაუჩერული და პროგრამული). პროგრამის ძირითად ხარჯებს შეადგენს პერსონალის ანაზღაურება.

2.4 კომპონენტი მოიცავს სასწავლო პროცესის ორგანიზებას და პროფესიულ სტუდენტთა შეფასებას. 2.4.1 კი უშუალოდ გულისხმობს სასწავლო პროცესი უზრუნველყოფას სასწავლო მიზნების მიღწევას. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად. ამას მოწმობს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია. პროგრამას დანართის სახით თან ერთვის სასწავლო გეგმა, რომლის მიხედვითაც ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ორგანიზება და რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა წინაპირობების გათვალისწინებით. იქვე აღნიშნა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

ექსპერტმა მანანა მახარაშვილმა აღნიშნა, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. სასწავლო პროცესში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები - კომპანია FESTO-ს სიმულატორები, შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით. მოდულებში გამოყენებულია სწავლების ინტერაქციული მეთოდები: ინტერაქციული ლექცია, დემონსტრირება, პრეზენტაცია, სქემების/ტექნიკური ნახაზების ჩვენება-განხილვა, ჯგუფური სამუშაოს შესრულება, პრაქტიკული შემთხვევების და კრიტიკული შემთხვევების განხილვა, პროექტის შესრულება და სხვ. ასევე პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, ამ მიზნით სტუ-ის რეგულაცია ითვალისწინებს მექანიზმებს, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნეს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

2.4. კომპონენტი გულისხმობს სასწავლო პროცესის ორგანიზებას და პროფესიულ სტუდენტთა შეფასებას;

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

ექსპერტმა მანანა მახარაშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად. ამას მოწმობს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია. პროგრამას დანართის სახით თან ერთვის სასწავლო გეგმა, რომლის მიხედვითაც ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ორგანიზება და რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა წინაპირობების გათვალისწინებით.

პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის შერჩეულია დარგში ლიდერი კომპანია, თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და ტექნოლოგიებით. მათი მხრიდან აღნიშნა რომ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, ამ მიზნით სტუ-ის რეგულაცია ითვალისწინებს მექანიზმებს, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნეს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო პროცესის მართვის წესი და პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები ითვალისწინებს როგორც შშმ, ისე სსსმ პროფესიულ სტუდენტები უზრუნველყოს სხვადასხვა სერვისებით, როგორცაა მობილობის/სტატუსის აღდგენის შემთხვევაში ისგ-ს შემუშავების შეთავაზებით, კონსულტაციების ორგანიზება, ადაპტირებული სასწავლო რესურსის შემუშავება და ა.შ. დაწესებულების პერსონალის განმარტებით საგანმანათლებლო პროგრამაზე აქამდე აღნიშნული სერვისების საჭიროება არ დამდგარა. ექსპერტების მიერ, ვიზიტის დროს, შესწავლილი რეგულაციებისა და დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგების საფუძველზე, დასტურდება, რომ დაწესებულებას აქვს ის რესურსი და პოტენციალი, რომ უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტების მოთხოვნებზე/საჭიროებების სასწავლო პროცესში გათვალისწინება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მხრიდან აღინიშნა, რომ დაწესებულება თანამშრომლობს პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორ დაწესებულებასთან (შპს „ელექტრონიკს 07“, „შპს „რუსთავის ფოლადი“), აღნიშნული დასტურდება გაფორმებული ხელშეკრულებითა და კომპანიის წარმომადგენლთან გასაუბრებითაც. ვიზიტის დროს ექსპერტებს ჰქონდათ შესაძლებლობა, გასაუბრებოდნენ პარტნიორი კომპანიის - შპს „ელექტრონიკს 07“ წარმომადგენელს. კომპანიის წარმომადგენელი იცნობს საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებელი მოდულის/სწავლის შედეგების შინაარსს. კომპანიის წარმომადგენელმა დაადასტურა დაწესებულებასთან აქტიური თანამშრომლობა, მზაობა გამოხატა ასევე კურსდამთავრებულების დასაქმებაზე, იქვე აღინიშნა, რომ კომპანიებთან გაფორმებული ხელშეკრულება ითვალისწინებს მოდულების ჩამონათვალს, მოცულობას (კრედიტები, საათები), მისაღები სტუდენტების რაოდენობას, მათი უსაფრთხოების საკითხების გაცნობა-სწავლებას, პრაქტიკის განხორციელებისთვის საჭირო დოკუმენტაციის წარმოებას, მხარეების უფლება-მოვლევობებსა და პასუხისმგებლობებს.

გაცემული რეკომენდაცია: ხელშეკრულების ვადასთან დაკავშირებით და ასევე, დაკონკრეტდეს პროფესიული სტუდენტების შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის გარანტიები, საკანონმდებლო და ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით.

ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. სასწავლო გარემო მოწყობილია თანამედროვე ტექნოლოგიების, ლიდერი კომპანიის FESTO მიერ წარმოებული სიმულატორებით. აღჭურვილობას თან ახლავს ტექნიკური დოკუმენტაცია, ინსტრუქციები, პრაქტიკული სავარჯშოები, შესრულების ინსტრუქციებითა და მეთოდოლოგიით, სადენები მოწყობილია კაბელ-არხებში. თუმცა დარგობრივ კაბინეტებში სრულყოფილად არაა წარმოდგენილი უსაფრთხოების შესახებ ინფორმაცია, ასევე დარგობრივ კაბინეტებში არაა ინსტრუქტაჟის აღრიცხვის ფურცლები/ჟურნალები. ჩარჩო დოკუმენტისა და თავად დაწესებულების მიერ წარმოდგენილ C აღწერაში, განსაკუთრებულ უსაფრთხოების მოთხოვნებში ცეცხლმაქრსა და პირველადი აფთიაქის ყუთთან ერთად აქცენტირებულია დამიწების ქსელი. შესაბამისად საკანონმდებლო მოთხოვნების უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს დამიწების ქსელის უსაფრთხოების ყოველწლიური ექსპერტიზა/მონიტორინგი.

გაცემული რეკომენდაცია: სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს, საკანონმდებლო მოთხოვნების გათვალისწინებით, რისკების მართვა-განახლება, მათ შორის დამიწების ქსელის უსაფრთხოების ყოველწლიური ექსპერტიზა/მონიტორინგი.

2.4.2. კომპონენტთან მიმართებით შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.

ექსპერტმა, მანანა მახარაშვილმა აღნიშნა რომ პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

ვიზიტის დროს, ექსპერტთა მიერ შემოწმებული იქნა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემუშავებული ინსტრუმენტები, იმ მიზნით, თუ რამდენად არის შეფასების სისტემა/ინსტრუმენტები ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. წარმოდგენილ ინსტრუმენტები იძლევა შესაფასებელი კომპონენტის შეფასების შესაძლებლობას, ამასთან დაწესებულება შეფასებისას იყენებს ასევე FESTOS დიდაქტიკურ მასალას. ინსტრუმენტები მოიცავს ყველა საჭირო ინფორმაციას შეფასების პირობებსა და მოთხოვნებზე, შეფასების მტკიცებულებები რელევანტურია. ვერიფიკაციის დასკვნით არაა გამოვლენილი არაობიექტური შეფასების ფაქტი, თუმცა გაცემულია რამდენიმე რეკომენდაცია.

გაცემული რეკომენდაცია: სასურველია, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, დაწესებულებაში არსებული პრაქტიკის შესაბამისად, დაკონკრეტდეს განმეორებითი შეფასების შესაძლებლობის შესახებ დებულებები. ასევე წესში გაიწეროს გასაჩივრების, შედეგების გამოკვეყნება-ინფორმირებისა და შეფასების პროცესის სხვა ადმინისტრაციული პროცესები.

ექსპერტ მანანა მახარაშვილის მხრიდან აღინიშნა, რომ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს, კერძოდ: დაწესებულებას შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის წესი, რომლის თანახმად პროცესის დაგეგმვა და წარმართვა ფაკულტეტის დეკანატისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციებია. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი ადგენს გეგმას, წარადგენს ვერიფიკაციის ჯგუფის წევრებს. პროცედურით გაწერილია ვერიფიკაციის პროცესში ჩართული პირების ფუნქციები. დაწესებულება პროცესის დოკუმენტირებისა და ასევე რისკების შეფასებისთვის იყენებს სსიპ - განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის მიერ რეკომენდებულ ფორმებს. მისი მხრიდან აღინიშნა, რომ ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო ვერიფიკაციის განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტები. პსდ-ს მიერ განხორციელებული ვერიფიკაციის ანგარიშის შედეგებით, უშუალოდ შეფასების პროცესთან მიმართებით შენიშვნები, რეკომენდაციები არაა დაფიქსირებული. გარკვეული შენიშვნებია გამოთქმული შეფასების ინსტრუმენტის შესრულებაში ისტრუქციებთან დაკავშირებით.

გაცემული რეკომენდაცია: შეფასების ინსტრუმენტების შეფასებისას, უზრუნველყოფილი იქნეს ჩანაწერები, რომლითაც იდენტიფიცირდება სტუდენტის მიერ სწორად ან არასწორად შესრულებული დავალება. ასევე შეფასების ინსტრუმენტებზე უზრუნველყოფილი იქნეს შემფასებელი პირის ხელმოწერა.

დარგის ექსპერტმა ფრიდონ გოგიაშვილმა ისაუბრა მატერიალურ რესურსსა და დამსაქმებლებთან ურთიერთობაზე. ექსპერტმა აღნიშნა, რომ „სამრეწველო ავტომატიზაციის“ პროგრამა არის მომავლის პროფესია და აღნიშნულზე დღეს დიდი მოთხოვნაა ბაზარზე. მილენიუმის პროგრამის დაფინანსებით მოხდა ამ პროგრამისთვის პრაქტიკული სივრცეების მოწყობა. ექსპერტმა ფრიდონ გოგიაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულება თანამშრომლობს ერთ-ერთ ნოვატორ კომპანია ფესტოსთან, რომლის მოწოდებული დოკუმენტაციაც ეხება ექსპლუატაციას, ასევე სასწავლო პროცესისათვის მასალების რიდერების მომზადებას.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ამ პროგრამის კურსდამთავრებულმა მათი ვიზიტის დროს რამდენიმე პროცესის მოდელირება მოახდინა. იქვე აღნიშნა, რომ ეს სპეციალობა დღეს განსაკუთრებით მოთხოვნადია წყლის მომარაგების კომპანიებისთვის და ასევე, იმ დამსაქმებლებისთვის, რომლებიც წარმოდგენილი იყო პრაქტიკის ობიექტებად.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნანა ყუფუნიაშვილმა დარგის ექსპერტს, ფრიდონ გოგიაშვილს ჰკითხა, ვიზიტის ფარგლებში დაინტერესდნენ თუ არა, რატომ არის ამდენი სტატუსშეჩერებული სტუდენტი და რატომ არის მცირე რაოდენობა აქტიური სტუდენტების. დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ სწავლის პროცესი გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული და ამიტომაც რთულდება სასწავლო პროგრამის საფეხურების დაძლევა, რაც შემდგომში აისახება სტუდენტთა რაოდენობაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის „სამრეწველო ავტომატიზაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ განაცხადის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 52-ე მუხლის შესაბამისად, განხორციელდეს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (ს/კ: 211349192) „სამრეწველო ავტომატიზაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება (დანართი 3).

4. „მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ შესაფასებელი იყო მე-2 სტანდარტთან მიმართებით 2.2. და 2.4. კომპონენტები, ხოლო მე-5 სტანდარტთან მიმართებით 5.1. და 5.2. კომპონენტები. ექსპერტმა მანანა მახარაშვილმა აღნიშნა, რომ თავდაპირველი შეფასებით 2.2. და 5.1. კომპონენტები შეფასდა, როგორც „შეუსაბამო“, რადგან საკამების რაოდენობა არ შეესაბამებოდა დადგენილ კვოტას. ექსპერტის თქმით, დაწესებულებამ განმარტა, რომ მიმდინარეობდა კონსოლიდირებული შესყიდვა, თუმცა შექმნილი გლობალური პრობლემების გამო შეფერხდა შესყიდვის პროცესი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ მიმართა შესყიდვების სააგენტოს, მათ გასცეს ნებართვა, რომ საკამები გამარტივებული წესით შეესყიდათ. დაწესებულებამ წარმოადგინა შესყიდვის ხელშეკრულება კომპანია „ნოვესთაილთან“, რომელმაც ხელშეკრულების ფარგლებში აიღო ვალდებულება, რომ პირველ სექტემბრამდე მოაწვდიდა დაწესებულებას 300 ერთეულ სკამს. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის თქმით, სწორედ ამ გარემოებიდან გამომდინარე, მეორე სტანდარტი შეფასდა, როგორც „შეუსაბამო“, ხოლო 5.1. კომპონენტთან შესაბამისობა არ დადასტურდა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმასთან დაკავშირებით, რადგან გეგმა არ შეესაბამებოდა დადგენილ სტრუქტურას და ასევე არ იყო შეთანხმებული კომპეტენტურ ორგანოსთან.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ არგუმენტირებულ წერილთან ერთად გადმოაგზავნა შესყიდვის დოკუმენტები, მიღება-ჩაბარების აქტი, შესაბამისად შემდეგ მიღება-ჩაბარების აქტით გაფორმებულია პროფესიული განათლების დეპარტამენტთან, თუმცა ექსპერტის მხრიდან აღინიშნა, რომ ამ დოკუმენტით არ ხდება იდენტიფიცირება იმისა, თუ კონკრეტულად რომელი პროგრამის ფარგლებში, რომელ ლოკაციაზე იქნა გადაცემული აღნიშნული სკამები, შესაბამისად, მხოლოდ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად მოხდა შეუსაბამოების კვალიფიცირება მეტწილ შესაბამისობად.

ექსპერტმა მანანა მახარაშვილმა აღნიშნა, რომ 5.1. კომპონენტთან დაკავშირებით შეფასება ისეთივეა, როგორც სხვა პროგრამების შემთხვევაში, 2.2. კომპონენტთან მიმართებით, პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის:

დარგობრივი სპეციფიკიდან გამომდინარე პროგრამისათვის „მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსი“, სასწავლო „C“ ტიპის სასწავლო სივრცე განთავსებული პირველი სართულზე აუდიტორიები #106 (ფართი 99.2 კვ.მეტრი) და #108 (ფართი 119.2 კვ.მეტრი). აუდიტორიები

აღჭურვილია თანამედროვე აპარატურით, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში გამოყენებულ იქნას თანამედროვე ტექნოლოგიები. საერთო დარგობრივი მოდულების განხორციელებისთვის ასევე გამოიყენება აუდიტორია #105. აუდიტორიები აღჭურვილია ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული მატერიალური რესურსით, რომელიც შეძენილია ათასწლეულის გამოწვევის ფონდის ფარგლებში. აუდიტორიების აღჭურვისას გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამისთვის გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტების კვოტა.

აუდიტორიები, ჩარჩო დოკუმენტის მოთხოვნის შესაბამისად, აღჭურვილია ცეცხლმაქრებითა და პირველადი დახმარების ყუთებით. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება იგეგმება 2 ჯგუფად, თითოეულში 12-12 პროფესიული სტუდენტი.

საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით, დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შემდეგ კომპანიებთან: შპს „ელიტა ბურჯი“ და შპს „რუსთავის ფოლადი“. გაფორმებული ხელშეკრულებების თანახმად კომპანიები აცხადებენ მზაობას, მიიღონ სტუ-ის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსის“ პროფესიული სტუდენტები კვოტის ფარგლებში (24 სტუდენტი). ხელშეკრულებით განსაზღვრულია პარტნიორი კომპანიის მიერ პრაქტიკის ხელმძღვანელის გამოყოფა, უსაფრთხოების ინსტრუქტაჟის ჩატარება და პრაქტიკის დროს განხორციელებული აქტივობების დოკუმენტირება. ანალოგიური ვალდებულებები ვრცელდება სტუ-ზეც, რომელიც ასევე იღებს ვალდებულებას სტუდენტებისთვის შრომის უსაფრთხოების და ელექტროტექნოლოგიურ დანადგარებთან მუშაობის წესების გაცნობის, დაწესებულებიდან პრაქტიკის ხელმძღვანელის გამოყოფის შესახებ. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განსაზღვრულია 2022 წლის 31 დეკემბრამდე.

გაიცა რეკომენდაცია: გადაიხედოს დოკუმენტი და მისი მოქმედების ხანგრძლივობა განისაზღვროს მინიმუმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის ვადით. ამასთან დოკუმენტში დეტალურად აღიწეროს განსახორციელებელი საათების/მოდულების/სწავლის შედეგები, მათი განხორციელების/მიღწევისთვის საჭირო რესურსები.

ექსპერტმა მანანა მახარაშვილმა აღნიშნა, რომ ფაქტობრივ გარემოებებიდან გამომდინარე, პროგრამა, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, არ იყო უზრუნველყოფილი მის განსახორციელებლად საჭირო რესურსით (შესაბამისი რაოდენობის სკამებით). გაიცა შესაბამისობის რეკომენდაცია, კერძოდ: დაწესებულებამ, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ახალ ფართში (ადგილზე), უზრუნველყოს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის შესაბამისი მატერიალური რესურსი (სკამები). მატერიალური რესურსის ფლობის (გადაცემის) დოკუმენტაციაში, მითითებული იქნეს პროგრამის განხორციელების კონკრეტული ლოკაცია.

ვიზიტის ფარგლებში, საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის, მათი დატვირთვის გადამოწმების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილი იქნა დოკუმენტაცია: განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები, საათობრივი დატვირთვის/სამუშაო საათების აღრიცხვის ფურცლები. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა პერსონალის პირადი დოკუმენტების (CV, კვალიფიკაციის/აკადემიური ხარისხის და სამუშაო/სწავლების გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები, რიგ განმახორციელებთან ხელშეკრულება, მათ შორის წინმსწრები ხელშეკრულება) ელექტრონული ასლები. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, პირადი საქმეები ინახება ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტში. დოკუმენტაციის კონფიდენციალობიდან გამომდინარე მათი გატანა არ ხდება. დაწესებულების მიერ ასევე წარმოდგენილი იყო პროგრამის განმახორციელებელი პირების ნუსხა, კვალიფიკაციის/სამუშაო გამოცდილების მითითებით. წარმოდგენილი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები არ მოიცავდა პასუხისმგებელი პირის მიერ დამოწმების შტამპს. აღნიშნული

გარემოებიდან გამომდინარე, ექსპერტების მიერ გაიცა რეკომენდაცია საქმისწარმოებასთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, რაც დასტურდება პირად საქმეებში წარმოდგენილი დოკუმენტაციით. პერსონალს ათასწლეულის გამოწვევის პროექტის ფარგლებში ტრენინგი აქვთ გავლილი როგორც ადგილობრივად, ისე გერმანიაში საგანმანათლებლო პროგრამის სწავლება-შეფასების მეთოდოლოგიაში. ამავე პროექტის ფარგლებში განხორციელდა ჩარჩო დოკუმენტის შემუშავება, სადაც ჩართული იყო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი. იქვე აღინიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომლის კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ შინაარსს, აქედან გამომდინარე, ექსპერტების მხრიდან გაიცა **რეკომენდაცია**, კერძოდ: დაწესებულებამ უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნების, სამუშაო აღწერილობის შემუშავება და პროფესიული საგანმანათლებლო სისტემის მოთხოვნების ასახვა.

ექსპერტ მანანა მახარაშვილის მხრიდან აღინიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით ბიბლიოთეკასა და დარგობრივ აუდიტორიებში და გამოიყენება სასწავლო პროცესში. ვიზიტის ფარგლებში შემოწმდა ბიბლიოთეკა, რომლის დროსაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი გადამოწმდა. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და მასწავლებლებისთვის. FESTO-ს სასწავლო რესურსი, განმახორციელებელი პირების მიერ თარგმნილია და განთავსებულია ბიბლიოთეკაში CD-ის სახით. ელ. რესურსი ასევე განთავსებულია დაწესებულების ვებგერდზე. სასწავლო რესურსით სარგებლობის/გამოყენების მტკიცებულებები არ ყოფილა წარმოდგენილი, რადგან სასწავლო ფართში ბიბლიოთეკა ფუნქციონირებას დაიწყებს დაწესებულებისთვის საგანმანათლებლო პროგრამის ახალ ფართზე განხორციელების უფლების მინიჭების შემდეგ. იქვე აღინიშნა, რომ დაწესებულებას ასეთი პირები პროგრამაზე არ ჰყავს, შესაბამისად აღნიშნული მიმართულებით სერვისის მიწოდების პრაქტიკა არ აქვს, თუმცა დაწესებულების რეგულაციების თანახმად, სსსმ პირებს ექნებათ წვდომის შესაძლებლობა პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომელთა ადაპტირებაც მოხდება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნების შესაბამისად („სტუ-ში მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, მუხლი 15. „სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები“).

ამ მიმართულებით, მათი მხრიდან გაიცა **რეკომენდაცია**, კერძოდ: სასურველია, დაწესებულებამ პროცედურაში მოახდინოს შშმ დ. სსსმ პირთა კონკრეტულ საჭიროებებზე შესაბამისი სერვისების იდენტიფიცირება, რაც დაწესებულების მხრიდან იქნება შეთავაზებული (მაგ. მხედველობის დაქვეითების მქონე პირთათვის აუდიოტექსტის, ან გაზრდილი შრიფტით შეთავაზება და ა.შ.).

პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფისა და კონტროლის მიზნით, დაწესებულებას შემუშავებული აქვს მექანიზმები („სსიპ -საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების მიზნებისათვის პასუხისმგებლობის გადანაწილების, დელეგირებისა და ანგარიშვალდებულების წესი“), რომლებიც უზრუნველყოფს სტუ-ის დასახული მიზნების მიღწევისათვის რესურსების კანონიერი, გამჭვირვალე, ეკონომიურ, ეფექტიან და პროდუქტიულ გამოყენებას. ფინანსურად მდგრადია ასევე საგანმანათლებლო პროგრამის

წარმოდგენილი ბიუჯეტის მაჩვენებლების მიხედვით. პროგრამის ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა სახელმწიფო დაფინანსება (ვაუჩერული და პროგრამული). პროგრამის ძირითად ხარჯებს შეადგენს პერსონალის ანაზღაურება.

2.4 კომპონენტი მოიცავს სასწავლო პროცესის ორგანიზებას და პროფესიულ სტუდენტთა შეფასებას. 2.4.1 კი უშუალოდ გულისხმობს სასწავლო პროცესი უზრუნველყოფას სასწავლო მიზნების მიღწევას. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად. ამას მოწმობს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია. პროგრამას დანართის სახით თან ერთვის სასწავლო გეგმა, რომლის მიხედვითაც ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ორგანიზება და რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა წინაპირობების გათვალისწინებით, იქვე აღინიშნა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

ექსპერტმა მანანა მახარაშვილმა აღნიშნა, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. სასწავლო პროცესში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები - კომპანია FESTO-ს სიმულატორები, შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით. მოდულებში გამოყენებულია სწავლების ინტერაქციული მეთოდები: ინტერაქციული ლექცია, დემონსტრირება, პრეზენტაცია, სქემების/ტექნიკური ნახაზების ჩვენება-განხილვა, ჯგუფური სამუშაოს შესრულება, პრაქტიკული შემთხვევების და კრიტიკული შემთხვევების განხილვა, პროექტის შესრულება და სხვ. ასევე პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, ამ მიზნით სტუ-ის რეგულაცია ითვალისწინებს მექანიზმებს, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნეს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

2.4. კომპონენტი გულისხმობს სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასებას;

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

ექსპერტმა მანანა მახარაშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად. ამას მოწმობს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია. პროგრამას დანართის სახით თან ერთვის სასწავლო გეგმა, რომლის მიხედვითაც ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ორგანიზება და რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა წინაპირობების გათვალისწინებით.

პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის შერჩეულია დარგში ლიდერი კომპანია, თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და ტექნოლოგიებით. მათი მხრიდან აღინიშნა რომ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, ამ მიზნით, სტუ-ის რეგულაცია ითვალისწინებს მექანიზმებს, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნეს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო პროცესის მართვის წესი და პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები ითვალისწინებს როგორც შშმ, ისე სსსმ პროფესიულ სტუდენტები უზრუნველყოფს სხვადასხვა სერვისებით, როგორცაა მობილობის/სტატუსის აღდგენის შემთხვევაში ისგ-ს შემუშავების შეთავაზებით, კონსულტაციების ორგანიზება, ადაპტირებული სასწავლო რესურსის შემუშავება და ა.შ. დაწესებულების პერსონალის განმარტებით საგანმანათლებლო პროგრამაზე აქამდე აღნიშნული სერვისების საჭიროება არ დამდგარა. ექსპერტების მიერ, ვიზიტის დროს, შესწავლილი რეგულაციებისა და დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგების

საფუძველზე, დასტურდება, რომ დაწესებულებას აქვს ის რესურსი და პოტენციალი, რომ უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტების მოთხოვნებზე/საჭიროებების სასწავლო პროცესში გათვალისწინება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მხრიდან აღინიშნა, რომ დაწესებულება თანამშრომლობს პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორ დაწესებულებასთან (შპს „ელექტრონიკს 07“, „შპს „რუსთავის ფოლადი“), აღნიშნული დასტურდება გაფორმებული ხელშეკრულებითა და კომპანიის წარმომადგენლთან გასაუბრებითაც. ვიზიტის დროს ექსპერტებს ჰქონდათ შესაძლებლობა, გასაუბრებოდნენ პარტნიორი კომპანიის - შპს „ელექტრონიკს 07“ წარმომადგენელს. კომპანიის წარმომადგენელი იცნობს საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებელი მოდულის/სწავლის შედეგების შინაარსს. კომპანიის წარმომადგენელმა დაადასტურა დაწესებულებასთან აქტიური თანამშრომლობა, მზაობა გამოხატა ასევე კურსდამთავრებულების დასაქმებაზე. იქვე აღინიშნა, რომ კომპანიებთან გაფორმებული ხელშეკრულება ითვალისწინებს მოდულების ჩამონათვალს, მოცულობას (კრედიტები, საათები), მისაღები სტუდენტების რაოდენობას, მათი უსაფრთხოების საკითხების გაცნობა-სწავლებას, პრაქტიკის განხორციელებისთვის საჭირო დოკუმენტაციის წარმოებას, მხარეების უფლება-მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს.

გაცემული რეკომენდაცია: ხელშეკრულების ვადასთან დაკავშირებით და ასევე დაკონკრეტდეს პროფესიული სტუდენტების შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის გარანტიები, საკანონმდებლო და ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით.

ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. სასწავლო გარემო მოწყობილია თანამედროვე ტექნოლოგიების, ლიდერი კომპანიის FESTO მიერ წარმოებული სიმულატორებით. აღჭურვილობას თან ახლავს ტექნიკური დოკუმენტაცია, ინსტრუქციები, პრაქტიკული სავარჯშოები, შესრულების ინსტრუქციებითა და მეთოდოლოგიით, სადენები მოწყობილია კაბელ-არხებში. თუმცა დარგობრივ კაბინეტებში სრულყოფილად არაა წარმოდგენილი უსაფრთხოების შესახებ ინფორმაცია, ასევე დარგობრივ კაბინეტებში არაა ინსტრუქტაჟის აღრიცხვის ფურცლები/ჟურნალები. ჩარჩო დოკუმენტისა და თავად დაწესებულების მიერ წარმოდგენილ C აღწერაში, განსაკუთრებულ უსაფრთხოების მოთხოვნებში ცეცხლმაქრსა და პირველადი აფთიაქის ყუთთან ერთად აქცენტირებულია დამიწების ქსელი. შესაბამისად საკანონმდებლო მოთხოვნების უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს დამიწების ქსელის უსაფრთხოების ყოველწლიური ექსპერტიზა/მონიტორინგი.

გაცემული რეკომენდაცია: სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს, საკანონმდებლო მოთხოვნების გათვალისწინებით რისკების მართვა-განახლება, მათ შორის დამიწების ქსელის უსაფრთხოების ყოველწლიური ექსპერტიზა/მონიტორინგი.

2.4.2. კომპონენტთან მიმართებით შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.

ექსპერტმა მანანა მახარაშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

ვიზიტის დროს, ექსპერტთა მიერ, შემოწმებული იქნა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემუშავებული ინსტრუმენტები, იმ მიზნით, თუ რამდენად არის შეფასების სისტემა/ინსტრუმენტები ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. წარმოდგენილ ინსტრუმენტები იძლევა შესაფასებელი კომპონენტის შეფასების შესაძლებლობას, ამასთან დაწესებულება შეფასებისას იყენებს ასევე FESTOS დიდაქტიკურ მასალას. ინსტრუმენტები მოიცავს ყველა საჭირო ინფორმაციას შეფასების პირობებსა და მოთხოვნებზე, შეფასების მტკიცებულებები რელევანტურია. ვერიფიკაციის დასკვნით არაა გამოვლენილი არაობიექტური შეფასების ფაქტი, თუმცა გაცემულია რამდენიმე რეკომენდაცია.

გაცემული რეკომენდაცია:

სასურველია, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, დაწესებულებაში არსებული პრაქტიკის შესაბამისად, დაკონკრეტდეს განმეორებითი შეფასების შესაძლებლობის შესახებ დებულებები. ასევე წეში გაიწეროს გასაჩივრების, შედეგების გამოქვეყნება-ინფორმირებისა და შეფასების პროცესის სხვა ადმინისტრაციული პროცესები.

ექსპერტ მანანა მახარაშვილის მხრიდან აღინიშნა, რომ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს, კერძოდ დაწესებულებას შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის წესი, რომლის თანახმად პროცესის დაგეგმვა და წარმართვა ფაკულტეტის დეკანატისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციებია. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი ადგენს გეგმას, წარადგენს ვერიფიკაციის ჯგუფის წევრებს. პროცედურით გაწერილია ვერიფიკაციის პროცესში ჩართული პირების ფუნქციები. დაწესებულება პროცესის დოკუმენტირებისა და ასევე რისკების შეფასებისთვის იყენებს სსიპ განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის მიერ რეკომენდებულ ფორმებს. მისი მხრიდან აღინიშნა, რომ ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო ვერიფიკაციის განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტები. პსდ-ს მიერ განხორციელებული ვერიფიკაციის ანგარიშის შედეგებით, უშუალოდ შეფასების პროცესთან მიმართებით შენიშვნები, რეკომენდაციები არაა დაფიქსირებული. გარკვეული შენიშვნებია გამოთქმული შეფასების ინსტრუმენტის შესრულებაში ინსტრუქციებთან დაკავშირებით.

გაცემული რეკომენდაცია: შეფასების ინსტრუმენტების შეფასებისას, უზრუნველყოფილი იქნეს ჩანაწერები, რომლითაც იდენტიფიცირდება სტუდენტის მიერ სწორად ან არასწორად შესრულებული დავალება. ასევე შეფასების ინსტრუმენტებზე უზრუნველყოფილი იქნეს შემფასებელი პირის ხელმოწერა.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს და სთხოვა დაეფიქსირებინა პოზიცია. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი დავით მახვილამე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს შეფასებისა და გაწეული შრომისათვის. მან აღნიშნა, რომ საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა აიღო გეზი პროფესიული განათლების განვითარების მიმართულებით.

საბჭოს თავმჯდომარე ნანა ყუფუნიაშვილმა შუამდგომლობით მიმართა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, რომ ცენტრმა გამოითხოვოს უნივერსიტეტისგან ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მოხდა უსაფრთხოების გეგმის შეთანხმება კომპეტენტურ ორგანოსთან და ინფორმაცია მიაწოდოს საბჭოს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის „მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0


გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ განაცხადის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 52-ე მუხლის შესაბამისად, განხორციელდეს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (ს/კ:211349192) „მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება (დანართი 4).

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, ცენტრმა გამოითხოვოს უნივერსიტეტისგან ინფორმაცია, რომ ნამდვილად შედგა უსაფრთხოების გეგმის შეთანხმება შესაბამის კომპეტენტურ ორგანოსთან.

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ, 16:00 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ყუფუნია ნანა



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რზგოევა ქრისტინა



პროგრამის სახელწოდება	მაღალი ძაბვის ელექტროტექნიკოსი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0713
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	თბილისი, კახეთის გზატკეცილი #36
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	24
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (<i>არსებობის შემთხვევაში</i>)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	70
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	100

დანართი 2

პროგრამის სახელწოდება	მექატრონიკა
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია მექატრონიკაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0713
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	თბილისი, კახეთის გზატკეცილი #36
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	24
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (<i>არსებობის შემთხვევაში</i>)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	150

პროგრამის სახელწოდება	სამრეწველო ავტომატიზაცია
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ელექტრონული მოწყობილობების ექსპლუატაციაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0714
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	თბილისი, კახეთის გზატკეცილი #36
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	24
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (<i>არსებობის შემთხვევაში</i>)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	150

პროგრამის სახელწოდება	მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსი
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია მექანიკაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0715
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	თბილისი, კახეთის გზატკეცილი #36
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	24
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (<i>არსებობის შემთხვევაში</i>)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	150